ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 30.06.2020

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 019/20

I შეკითხვა:

ადვოკატი ორდერის საფუძველზე, სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, კლიენტის სასარგებლოდ ინფორმაციის მიღების მიზნით შეხვდა პროცესუალურ მოწინააღმდეგე მხარეს სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. წარმოადგენს თუ არა ადვოკატის მიერ კლიენტის სასარგებლოდ, მოწინააღმდეგე მხარის სახელზე ორდერის გამოწერა ეთიკური ვალდებულების დარღვევას?

II ანალიზი:

გამოძიების ორგანოებში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი – მინდობილობა ან ორდერი. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 19.2).

ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით“. („ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 6.1)

ორდერი არის კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც ადვოკატი უფლებამოსილია იმოქმედოს კლიენტის სახელით. სხვა მიზნით ორდერის გამოწერას საქართველოს კანონმდებლობა არ ცნობს და ეწინააღმეგება ადვოკატის მიერ კანონის შესაბამსიად მოქმედებას. შედეგად, არ აქვს მნიშვნელობა მოწინააღმდეგე პირის სახელზე ორდერის გამოწერას აქვს თუ არა კლიენტის სასარგებლოდ მოქმედების მიზანი. კონკრეტული პირის მიერ ადვოკატის

სახელზე ორდერის გამოწერა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას წარმოშობს და სწორედ ეს არის მისი დანიშნულება.

მგსავს საკითხზე იხილეთ ეთიკის კომისიის ზეპირი რეკომენდაცია 12/19

მითითება: რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.